

№ 2-75.



ქართული
სახელმწიფო
ბანკი

შროლერებო ვეელა ქვეინსა, შეერთდით!


***** უ ა ს ი *****
კერძო პირთათვის 15 კაპეიკი.
სახელმწიფო დაწესებულ. 10 კაპ.

ფილიალის
მისამდე

მთავარი

სუთშობათი,
29 მარტი,
1923 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.



№ 49

ფორმალ კვირეული ორგანო.

№ 49

ქურნალ „მთავარი“-ს რედაქციისადმი.

ვეელა ხელის მომწერთა, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და კერძო ორგანიზაციების საეურნედებოდ რედაქცია ხცხადებს, რომ

ეურნალი უფასოდ არავის გაეგზავნება.

ეველა ხელის მომწერი ვალდაჟულია გადაიხადოს მათზე დარჩენილი ხელის მომწერის ფასი. წინახდებუ შემთხვევაში მოასკობათ ქურნალის გზავნა.

ფორმალგვარი განცხადების ფასი: სტრიქონი-30.000 მანეთი.

დოკუმენტების დაკარგვის შესახებ დასაგეჭლი განცხადებების ფასი 100.000 მანეთი.

ეურნალში მოსათავსებელი განცხადება დაიბეჭდება მხოლოდ ფულის შემოტანის შემდეგ.



რედაქცია ღიჯა დილის 9 ხ. 3 საათამდე კვირა-უქმეების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგულოვის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 8-59.

480.

ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ა

ცენტრ. აღმასრულ. კომიტ.

დადგენილება № 29

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად გამოცხადებულ საკურორტო ადგილები სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გაქოსადეგი სადგომებისა და შენობათა საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

რესპუბლიკის მშრომელთა საკურორტო აქტივობის პირობების გაუმჯობესებისათვის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ერთი თვის განმავლობაში დღიდან საკურორტო ადგილის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად გამოცხადებისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა საკურორტო ადგილში, რომელიც აღიარებული იქნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, განთავისუფლდეს და გადავიდეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში ყველა სანატორიუმებისა და დამხმარე დაწესებულებათა მოსაწყობად გამოსადეგი სადგომები და შენობა, რაც უჭირავს საბჭოთა დაწესებულებებს, მათ შორის სამხედროსაც, აგრეთვე საბჭოთა მოსამსახურეებს და პირთ, რომელნიც დაკავშირებულნი არ იქნებიან კურორტებთან აქტივობით ან წარმოებითი მხრით.

2. ყველა უწყება და ორგანიზაცია, რომლის გამგებლობაშიც ამჟამად არის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ გამოცემული დეკრეტის 2, 10 და 11 მუხლში აღნიშნული რაიმე ქონება, ვალდებულია მოახდინოს ამ ქონების გადაცემა ამ დადგენილების 1 ლ მუხლში ნაჩვენებ ვადაზე.

3. სახელმწიფო კურორტების აღსადგენათ სთანადო მუშაობის წარმოებისათვის მიეცეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს საქართველოს კურორტების აღდგენის ხარჯთაღრიცხვით საქირო

თანხები და უპროცენტო სესხი განსაზღვრული ვადით და არსებული წესით.

4. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საქმის განხორციელება იმავე მუხლში ნაჩვენებ ვადაზე დაეკისროს კომისიას, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნოს აკ. რესპუბლიკათა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში, ხოლო წევრებად ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი.

1923 წ. თებერ. 3. ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახ. კომისართა საბჭოსი.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ.

რადგანაც სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამკურნალო თვისებას აქვს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მშრომელთა ექიმობისა და მათი ჯანმრთელობის აღდგენისათვის და აგრეთვე იმ მიზნით, რათა სამკურნალო ადგილები წესიერად იქნეს გამოყენებული საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელი მშრომელი მოსახლეობის საჭიროებისათვის, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამკურნალო ადგილებს (კურორტებს) მიეკუთვნება: ა) ადგილები სამკურნალო (მინერალური და ქიმიურად ნეიტრალური წყალით ან სამკურნალო ტალახით, ბ) მარილოვანი ტბისა და ზღვის საბანაოები, გ) კლიმატიური და მთა ადგილის სადგურები და დ) ადგილები კუმისით აქტივობის სარგებლობისათვის.



2) სამკურნალო ადგილი (კურორტი) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის რომელ კუთხეშიაც უნდა იყოს იგი და ვისაც უნდა ეკუთვნოდეს, ყველა ანაგებით, შენობით და მოძრავი ქონებით, რაც წინადადებებს უწყობდა კურორტს და რაც არის კურორტთან შეერთებულ და მასზე მიწერილ მიწაზე, შეადგენს რესპუბლიკის საკუთრებას და გამოყენებულ უნდა იქნეს სამკურნალო მიზნებისათვის.

3. სამკურნალო ადგილები (კურორტები) შეიძლება გამოაცხადებულ იქნეს საერთო-სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ადგილებად.

4. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ადგილად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ ისეთი სამკურნალო ადგილი (კურორტი): 1) რომელსაც ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დასკვნით აქვს თვალსაჩინო მნიშვნელობა თავისი მინერალური წყლებისა, მინერალური ტალახისა და სხვ. შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით და აგრეთვე არსებული მოწყობილობებით ავადმყოფთა წამლობისათვის და 2) რომელსაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილების დასკვნით აქვს მუდმივი უზრუნველყოფილი ნაკადი წყლისა ან მარავი მინერალური ტალახისა საკმაო რაოდენობით.

5. სამკურნალო ადგილი (კურორტი) საერო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად გამოაცხადდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისარიატის საბჭოს მიერ.

6. სამკურნალო ადგილებში (კურორტებში), რომელიც ცნობილ იქნება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, სამკურნალო წყლებისა და სამკურნალო ტალახის წყაროების დასაცავად წახდენისა და დაზრებისაგან მოეწყობა სამთო დაცვის ოლქი; სამთო დაცვა შეიძლება მოეწყოს აგრეთვე სასმელი წყლის წყაროებისათვისაც, რომელიც აუცილებელია სამკურნალო ადგილების საჭიროებისათვის.

7. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად აღიარებულ სამკურნალო ადგილების (კურორტების) დასაცავად სანიტარული მხრით, მოეწყობა სანიტარული დაცვის ოლქი, რომლის საზღვრებში შედის თვით სამკურნალო ადგილის სივრცეც. სანიტარული დაცვის ოლქში უნდა შევიდეს ყველა ის წყარო, რომელიც ამა თუ იმ სამკურნალო ადგილს აწვდის სასმელ წყალს.

8. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქების საზღვარის დაწესება და შეცვლა მოხდება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილებით.

შენიშვნა: ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დადგენილება საზღვრების შეცვლის თაობაზე უკეთეს იგი შეეხება თვით სამკურნალო ადგილის სივრცის გადიდებას, დამტკიცებულ უნდა იქნეს საქართველოს სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ.

9. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვა ეძლევა გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი იმ წესის შესახებ, რაც შესრულებულ უნდა იქნეს დაცვის ოლქის ფარგლებში მინერალურ წყალთა წყაროების წესიერად შენახვისათვის და მათთან არსებული სამკურნალო დაწესებულებათა გაუმჯობესებისათვის სანიტარულის მხრით.

10. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამთო-სანიტარული დაცვის რაიონში საკურორტო მმართველობის გამგებლობაში გადადის ყველა სამკურნალო დაწესებულება (სანატორიუმი, ტალახები, წყალ-ელექტრონის სამკურნალო და სხვ.), მინერალური წყაროები, მარილოვანი და ტალახის ტბები, პლიაჟი, კლიმატიური სადგურები, ყველა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა ცოცხალი და უსულო ინვენტარით, რაც შეადგენს სამკურნალო დაწესებულებათა საჭიროებას და აგრეთვე ყველა სამრეწველო და ხელისშემწყობი საწარმოები მათი მოწყობილობით და ყოველგვარი ინვენტარით (ნედლი მასალით, ფაბრიკატებით და ნაკეთობით), როგორც ისეთი, რომელიც წინედ ხელს უწყობდა სამკურნალო დაწესებულებათა საჭიროებას, აგრეთვე ისეთი, რომელიც დღეს აუცილებელია სამკურნალო ადგილების საჭიროებისათვის.

შენიშვნა: სამრეწველო საწარმოთა ექსპლოატაციისათვის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუთანხმებს თავის მოქმედებას სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათანადო ორგანოების მუშაობის გეგმას.

11. საკურორტო მმართველობათა გამგებლობაში გადადის აგრეთვე კურორტების საჭიროებისათვის აუცილებელი ტყეები, პარკები, ბაღები, ბოსტნები, სახანავი მიწები, სათიბები, ვენახები და სხვა სამეურნეო სახანავები, რომელიც გამოყენებულ იქნებიან სამკურნალო ადგილების საჭიროებისათვის.

შენიშვნა 1: ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება კერძო სარგებლობის ბაღებსა და ბოსტნებზე და იმ მიწებზე, რომელიც მიცემულია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნორმის მიხედვით.

შენიშვნა 2: აგრიკულტურული და საჩვენებელი მნიშვნელობის მქონე სასოფლო-სამეურნეო სახანავების ექსპლოატაციისათვის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუთანხმებს თავის მოქმედებას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობის გეგმას.

12. სამთო და სანიტარული დაცვის ოლქის ფარგლებში არსებული ტყეები გამოაცხადებულ იქნეს დაცულად. მეურნეობას ასეთ ტყეებში ეწევა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი იმ გეგმით, რომელიც დადგენილ იქნება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებასთან შეთანხმებით.

13. უკეთეს სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამკურნალო და სამეურნეო საჭიროებისა და მიზნისათვის შემდგომი აუცილებელი იქნება

მათთვის ახალი მიწებისა და სანახების მიცემა, ეს უნდა მოხდეს მიწათმოქმედების დებულების წესით.

14. სამკურნალო ადგილების (კურორტების) უმაღლესი მმართველობა დაეკისრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილის (კურორტების) ადგილობრივი მმართველო არ არის დაპოკიდებული ადგილობრივი სამაზრო და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებაზე და უშუალოდ ემორჩილება საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს.

15. მშრომელთა უფასო საკურორტო აქიმობისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო კურორტებზე, სახელმწიფოსათვის მისი მოთხოვნით ჩაირიცხება განსაზღვრული რაოდენობის საწოლი; ყველა ხარჯები მათი მოწყობისა და შენახვისათვის უნდა აუნაზღაურდეს საკურორტო მმართველოს ხაზინის საშუალებათაგან.

16. ექსპლოატაცია კურორტებისა, — მე-15 მუხლით გათვალისწინებულ საწოლთა გარდა, — და აგრეთვე სამრეწველო, ხელისშემწყობ და სავაჭრო-საწარმოებისა მოეწყოს სამეურნეო ნიადაგზე, რისთვისაც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ცენტრალური საკურორტო მმართველობისა და მისი ადგილობრივი ორგანოების სახით ნება მიეცეს მოქმედი კანონების დაცვით:

ა) დადვას ხელშეკრულება მთავრობისა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებთან მათი წევრებისა და უკანასკნელთა ოჯახების მიერ სანატორიუმებისა და კურორტების სარგებლობის შესახებ აღნიშნულ ორგანიზაციათა ხარჯზე;

ბ) გასცეს კერძო პირებზე იჯარით ექსპლოატაციისათვის ცალკე სანატორიუმები და საერთო საცხოვრებლები ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კონტროლის ქვეშ;

გ) მოაწყოს ფასიანი საერთო საცხოვრებლები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ყველა მოქალაქეთათვის, რომელნიც სამკურნალოდ იქნებიან კურორტებზე;

დ) ისარგებლოს სამეურნეო ხარჯებზე გადასულ საკურორტო დაწესებულებათა და საწარმოთა მიმართ ყველა ის უფლება და უპირატესობა, რაც დაწესებულება სახელმწიფო მრეწველობის საწარმოებისა და მათი შენაერთებისათვის.

17. ყოველგვარი შემოსავალი მიღებული სამკურნალო ადგილების (კურორტების) სამეურნეო ექსპლოატაციით — შედის ხაზინის შემოსავალში და მოხმარდება სპეციალურად და მარტოოდენ საკურორტო საქმიროებათ მშრომელთა საკურორტო აქიმობის გაუმჯობესებისათვის.

18. სამკურნალო ადგილი (კურორტი), რომელიც ცნობილი არ იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისად, მაგრამ რომელსაც ექნება თვალსაჩინო სამკურნალო თვისება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ შეიძლება გამოცხადებულ იქნეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ადგილად; ამ შემთხვევაში აღნიშ-

ნული სამკურნალო ადგილებისათვის მოწყობილი უნდა იქნეს სამთო და სანიტარული დაცვის ორგანიზაციები დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

19. სამკურნალო ადგილი (კურორტი), რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს დარჩება რა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საერთო მეთვალყურეობის ქვეშ, გადავა სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებების გამგებლობასა და მმართველობაში.

20. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს დებულებანი და ინსტრუქციები ამა დეკრეტის განხორციელებისათვის.

21. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 37 №-ის დეკრეტი და აგრეთვე ყველა ამ საგანზე წინად გამოცემული დადგენილება ჰკარგავს თავის ძალას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი საბაშვილი

3 თებერ. 1923 წ. ტფილისი — სასახლე.

სსს. კომისარიატს საბჭო.

დადგენილება № 71.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისარიატის საბჭოსი

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს 1922 წლ. 30 დეკემბრის დადგენილება № 70-ის საფუძველთა ცნობად გამოცხადების და აღსრულებისათვის.

ამასთანავე ცხადდება საყოველთაო ცნობად და აღსასრულებლად ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს 1922 წ. 30 დეკემბრის დადგენილება № 70.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდ. მოადგილე მ. ორახელაშვილი.

სახ. კომისარიატის საბჭ. მდივანი ილ. სალარიძე.

25 იანვარი 1923 წ.

დადგენილება № 74.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომ. საბჭ.

ტყის სარგებლობისა და ტყეების გაჩეხის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატსა და საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტყეების ყოველგვარი სარგებლობა შეიძლება ბარათებით, რომელსაც გასცემს ადგილობრივი სატყეო ადმინისტრაცია.

2. ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში ჩარეულ იქნეს ადგილობრივი მოსახლეობა—სამოსილად განსაკუთრებული არჩეული პირების სახით.

3. ტყის უკანონოდ სარგებლობისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხ. მიხედვით.

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ტყის დაცვისა და მოვლის საქმეში ადგილობრივი მოსახლეობის ჩარევის წესის შესახებ (მუხ. 2).

5. მოეხსნათ ფულადი ან სხვა რამ გადასახადი, ადმინისტრაციული ან სასამართლოს წესით დადებული ტყის გაჩეხისათვის, უკეთეს ეს ჩადენილია ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, —იმ პირთ, რომელთაც ეს გაჩეხა ჩაუდენიათ სათეს-სახნავის სივრცის გასადიდებლად ან თავისი პირადი ოჯახობრივი საჭიროებისათვის.

6. ყველა ამგვარი საქმე, რომლის წარმოებაც ჯერ დამთავრებული არ არის ადმინისტრაციულ ან სასამართლოს დაწესებულებაში. — მოსპობილ იქნეს.

შენიშვნა: ამა დადგენილების მე-5 და მე-6 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება იმ პირებზე; რომელთაც გაჩეხა ვაჭრობის მიზნით ჩაუდენიათ.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სსხ. კომ. საბჭ. თავმჯდ. მოადგილე შ. ორახელაშვილი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარი სტურუა.

სახ. კომისარიატსა და საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე

1923 წ. იანვრის 31.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 75

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატსა და საბჭოსი.

უცხოელთა თაობაზე საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 64 №-ით გამოცემული დეკრეტის 16 მუხლის შეცვლის შესახებ.

ქალ. ქიათურაში ბინების კრიზისის გამო, რაც ზესტაფონიდან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ქიათურაში გადატანას შეუძლებლად ჰხდის

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატსა და საბჭო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-16 მუხ. შესაცვლელად ადგენს:

1. შემქმნელი იქნეს ქიათურაში მცხოვრებ უცხოელთა ბინები იმ საბინაო ნორმის მიხედვით, რომელიც ვათვალისწინებულია საქართველოს სახალხო კომისარიატსა და საბჭოს მიერ 1922 წლ. ივნისის 10-ს თარიღითა და მე 9 №-ით გამოცემული დეკრეტით — საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ.

სახალხო კომისარიატსა და საბჭოს თავ.

მჯდომარის მოადგილე შ. ორახელაშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გიგეჭკორი.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 31. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 77

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი.

საქართველოს სახალხო კომისარიატსა და საბჭოს მიერ 1922 წ. ნოემბრის 8-ს თარიღითა და 57 №-ით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისარიატსა და საბჭოს მიერ 1922 წ. ნოემბრის 8-ს თარიღითა და 57 № უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შესახებ გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატსა და საბჭო ადგენს:

1. ბანკში დაგირავებული უსასყიდლოთ გადასული ქალაქში მდებარე სახლების კანონიერ შეფასებად ჩითვალოს ბანკის შეფასება, გადიდებული 30-ათასჯერ.

2. ქალაქში მდებარე იმ სახლების მიმართ, რომელთათვისაც ბაჟი უკვე აღწესებული ან გადახდილია დადგენილება № 57-ს თანახმად, ბაჟის ხელახალი აღწესება ან შეტანილი თანხის დაბრუნება არ შეიძლება.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის 1923 წ. იანვრის 1-დან.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატსა და

სახ. კომისარიატსა და საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახალხო კომისარიატსა და საბჭოს

მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. თებერვლის 8. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება 76.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

ჯიშინი ცხენის ჯილაგის დაცვის შესახებ.

სთვლის რა ჯიშინი ცხენის მოშენებისა და მეცხენეობის საქმის წესიერად დაყენებას რესპუბლიკის სახელმწიფო მეურნეობის ერთ-ერთ გადაუდებელ საქმედ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. ჯიშინი ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს ულაცი ცხენისაგან დამაკებული ყველა ფაშატი ცხენი განთავსდეს უფლებულია ყოველგვარი რეკვიზიტისა და ჩამორთმევისაგან, დროებითი სარგებლობისათვის, მაკიანობისა და კვიციის ძუძუსწოვების პერიოდში.

2. ჯიშინი ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს სამმართველო შოახდენს ამა დადგენილების პირველი მუხლში აღნიშნული ფაშატი ცხენები რეგისტრაციას და გასცემს მააი დაცვის მოწმობებს.

3. ფაშატი ცხენის რეკვიზიტისა, სამუშაოდ გაყვანისა და აგრეთვე დროებითი ჩამორთმევისათვის სამგზავროდ ან სამუშაოდ, უკეთუ ჯიშინი ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს სამმართველოს მიერ გაცემული იქნება ამ ცხენის დაცვის მოწმობა, დამნაშავე მიიღება რევოლიუციონური ტრიბუნალის სამართალში.

4. ყველა აღმასრულებელი კომიტეტი და მილიციის ორგანო მოვალეა დახმარება გაუწიოს ჯიშინი ცხენის მოშენების სახელმწიფო ორგანოს სამმართველოს დაწესებულებათ და თანამშრომელთ ამა დადგენილების დამრღვევთა აღმოჩენაში და მათი პასუხისგებაში მიცემისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

მიწათმოქმედების სახ. კომისარი სტურუა.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.
1923 წ. თებერვლის 8. ტფილისი —სასახლე.

დადგენილება № 78.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლ. მაისის 28-ს თარიღითა და 53 №-ით გამოცემული ბრძანების გაუქმებისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. რადგანაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატი გადაკეთებულ იქნა საქართველოს სოც.

საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებით, საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის მაისის 28-ს თარიღითა და 53 №-ით გამოცემული ბრძანება გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახ. კომის. საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.
1923 წ. თებერვლის 8. ტფილისი —სასახლე.

დადგენილება 79.

საქართველოს სოც. (საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად სპეციალური გადასახადის დაწესების შესახებ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებათა გაძლიერებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული დამატებითი გადასახადი სახელწოდებით: „საქ. წითელი ჯვრის სპეციალური საშუალებანი“.

ა) ყველა თეატრისა, კინოსა და სხვა ფასიანი საჯარო სანახავისა, გასართობისა და კრებების ბილეთებზე-ბილეთის ღირებულების 5 %-ის რაოდენობით.

ბ) ლოტოს თამაშით მოგებულ თანხაზე ამ თანხის 5 %-ის რაოდენობით და

გ) ყოველგვარ სასამართლო აქტების საღებო გადასახადის თანხაზე ამ თანხის 3 %-ის რაოდენობით.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული გადასახადიდან შექმნილი თანხები გადასახადის ამკრფი დაწესებულების მიერ შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებებში ჩასარიცხად.

3. მიღებული თანხების ანგარიშს ხაზინა აწარმოებს სპეციალურ საშუალებათა ანგარიშის წარმოების წესით.

4. ამა დადგენილების განმარტებისა და განვითარებისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სახ. კომის. საბჭ. მდივანი ალ. სალარიძე.
1923 წ. თებერვლის 10 ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 80.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამოქალაქო საქმეთათვის სასამართლო ხარჯების გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. იანვრის 31-ს თარიღითა და 134 № ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. იანვრის 31-ს თარიღითა და 134 №-ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლი სახელმწიფო დაწესებულებათა და მუშათა გაერთიანებული კოლპერატივის სასამართლო ბაჟისა და საღებრო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ გაუქმებულ იქნეს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

აღ. სარალიძე.

1923 წ. თებერვლის 15.

ტფილის-სასახლე.

ამიერკავკ. საკავშირო საბჭო

დ ე კ რ ე ტ ი

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშ. საბჭ.

შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა მოსამსახურეთა შრომის უნარს უქონლობის პირველი სამი დღის განმავლობაში სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფისა და დამატებითი სხვაგვარ უზრუნველყოფის შესახებ—საკავშირო საბჭოს მიერ ამა წლის აგვისტოს 23-ის თარიღით გამოცემულ დეკრეტის მე-6-ე მუხლის განსავითარებლად, საკავშირო საბჭომ დაადგინა:

1. განთავისუფლებულ იქნეს სოციალური დაზღვევის ორგანოები მუშა-მოსამსახურეთათვის შრომის უნარის დროებითი დაკარგვის შემთხვევაში დახმარების გაცემისაგან შრომის უნარის დაკარგვის პირველი სამი დღის განმავლობაში.

2. როგორც კერძო, ისე სახელმწიფო წარმოებისა, დაწესებულებისა და მეურნეობის მუშა-

მოსამსახურეთათვის შრომის უნარის დაკარგვის პირველი სამი დღის განმავლობაში დახმარების გაცემა დაეკისროს უშუალოდ წარმოებას, დაწესებულებას და მეურნეობას მუშა-მოსამსახურეთა სამსახურის ადგილის მიხედვით.

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.

საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავშ.

საბჭ. მდივნის მოადგილე ორლოვ-მალახოვი.

1922 წ. დეკემბრის 30.

დადგენილება № 70.

ამიერკავკ. სოც. საბჭ. რესპ. საკავ. საბჭოსი.

1. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1922 წლ. 30 დეკემბერს დამტკიცებული რ. ს. ფ. ს. რ. შრომის კანონის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამიერკავკასიის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე. უქმდება შრომის შესახებ წინეთ გამოცემული ყველა დადგენილებანი, რომელიც ეწინააღმდეგება შრომის კანონთა კოდექსს.

2. შრომის სახალხო კომისარიატს ვეალემა დაუყოვნებლივ წარმოუდგინოს გამოსაქვეყნებლად საკავშირო საბჭოს შრომის კანონდებულებათა ნუსხა, რომელიც დარჩა ძალაში შრომის კანონთა კოდექსის ძალაში შესვლისას.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. საკავ. საბჭოს მდივნის მოად. გ. ორლოვ-მალახოვი.

30 დეკემბერი 1922 წ.

შინაგან სამმ. სახ. კომის.

დადგენილება

სენაკის მაზრის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განიხილა რა ნუსხა სენაკის მაზრის თემებათ დაყოფისა, წარმოდგენილი ამავე მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ ნუსხა შედგენილია რაიონების, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულთა გამოკლებით, თანახმად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ ა. წ. 1 იანვარს გამოცემული დადგენილებისა (№ 22): ბ) რომ წარმოდგენილ პროექტში დაცულია შინ. საქ. სახ. კომისარიატის მიერ

სენაკის მაზრის შესახებ წინაღ მიღებული დადგენილებანი, რომლის ძალით ქ. ნახა-გო-ღა გამოყოფილ იქნა სენაკის მაზრიდან და მიწერილი ქუთაისის მაზრაზე; წ. წ. 22 ოქტომბრის დადგენილება, რომლის ძალით თეკლათის თემი ორ თემით (თეკლათასა და ისულასი) გაიყო: ა. წ. იანგრის დადგენილება, რომლითაც ხორშისა და ზანის თემები გამოირიცხულ იქმნენ ზუგდიდის მაზრიდან და მიწერილი სენაკის მაზრაზე და წ. წ. 8 ნოემბრის დადგენილება, რომლის ძალით ქ. ლ. ყულევი (რედუტკალე) გამოყოფილ იქნა ზუგდიდის მაზრიდან და მიწერილი სენაკის მაზრაზე; გ) რომ წარმოადგენილ პროექტში სოფ. გულეიკარი შეტანილია სენაკის მაზრის ფარგლებში, რაც სრულიად ეთანხმება კომისარიატის მიერ 20 ნოემბერს მიღებულ დადგენილებას, რომლის ძალით სოფ. გულეიკარი გამოირიცხულ უნდა იქმნას ქუთაისის მაზრიდან და მიწერილი სენაკის მაზრაზე და დ) ამ, თანახმად კომისარიატის წ. წ. 22 ოქტომბრის დადგენილებისა, სოფ. ნოჯიხევი უნდა შედიოდეს ნავაზაოს და არა ლეხანდრაო-ნოლოს თემში, როგორც ეს ნაჩვენებია ნუ ხ. ში, მიიღო რა ყველა ეს მოსაზრება მხედველობაში, — დაადგინა: 1) დამტკიცებულ იქმნას უცვლელად აღმასრულებელ კომიტეტის ა. წ. 22 დეკემბერს წარმოდგენილი ნუსხა სენაკის მაზრის 39 თემით დაყოფისა შემდეგის შესწორებით: ლეხანდრაო-ნოლოს თემიდან გამოირიცხოს — სოფ. ნოჯიხევი და მიეწეროს ნავაზაოს თემს და 2) ასლი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, სენაკის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორ-საინფორმაციო, საფინანსო და მომარაგების განყოფილებებს, აგრეთვე რედაქცია „შოაშვე“-ს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ალ. გავეჭკარი
 საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**.
 აღმ. გად. საკითხთა შესახებ კონსულტანტი
გ. გველესიანი.
 8 დეკემბერი, 1922 წ.

დადგენილება

შორაპნის მაზრის აღმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა შორაპნის მაზრის აღმ. ერთეულებათ (თემებათ) დაყოფის ნუსხა, წარმოდგენილი ამავე მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ წარმოდგენილ ნუსხაში საესებით დაცულია დადგენილებები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, შორაპნის მაზრის სხვადასხვა ნაწილების შესახებ, სახელდობრ: ა) 1921 წლის 27 სექტ., რომლითაც სოფ. ხორთი გამოირიცხულ იქნა ხარაგაულის თემიდან

და მიწერილი ამავე მაზრის ლაშე დეგრაქის თემებზე: ბ) ამავე წლის 30 სექტ., რომლითაც სოფ. გოლისი ხუნევის თემიდან გადაირიცხა აღმინისტრაციული მაზრის ლიჩის თემზე და გ) წ. წ. 10 მარტისა, რომელითაც ოთხი სოფელი — ქვაციხე, საკურწყე, რცხილათი და ბილა გამოირიცხულ იქნა ხრეთის თემიდან და ამ სოფელთაგან დაწესდა ცალკე თემი ქვაციხის აღმან. ცენტრათ გამოცხადებით, — დაადგინა: 1) შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ნუსხა მაზრის 39 თემით დაყოფისა დამტკიცდეს და 2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინ. საქ. სახ. კომისარიატის სამილიციო, საერთო, საინსტრუქტორ-საინფორმაციო, საფინანსო და მომარაგების განყოფილებებს, აგრეთვე რედაქცია „შოაშვე“-ს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გავეჭკარი.
 საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**.
 აღმ. გად. საკითხთა შესახებ კონსულტანტი
გ. გველესიანი.
 9 იანვარი, 1923 წ.

დადგენილება

ბორჩალოს მაზრის აღმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა ბორჩალოს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ წ. წ. 13 ნოემბერს წარმოდგენილი ნუსხა მაზრის აღმინისტრაციული ერთეულებათ (თემებათ) დაყოფისა და მიიღო რა მხედველობაში:

ა) რომ ნუსხაში თემების გარდა გათვალისწინებულია რაიონები, როგორც აღმ. ერთეულები, წინააღმდეგ საქართ. სოც. საბჭო რევოლიუციონური კომიტეტის მიერ წ. წ. 1 იანვარს გამოცემული დადგენილებისა (№ 122); ბ) რომ წარმოდგენილ ნუსხით თემთა რაოდენობა (31) თითქმის ისეთივეა, როგორც იყო ბორჩალოს მაზრაში წინაღ (32) ვიდრე, სომხეთთან დადებული ხელშეკრულობის ძალით. ვარანცოვკის რაიონი (თემები: ვორონცოვის, ახალ მიხაილოვკის, სარჩაპეტის, პრივოლნესის, და აღმაზლოსი) ბორჩალოს მაზრას ჩამოსცილდებოდა, — დაადგინა: 1) ნუსხა ბორჩალოს მაზრის 31 თემით დაყოფისა დამტკიცდეს დროებით, თანახმად წარმოდგენილი პროექტებისა, შემდეგის შესწორებით — რაიონები გამოირიცხულ იქმნან ნუსხიდან; 3) მიეცეს წინადადება მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს შეამციროს თემთა რაოდენობა მაზრაში და ერთი თვის განმავლობაში დლიდან ამ დადგენილების მიღებისა წარმოადგინოს ახალი გადაამუშავებული ნუსხა და 3) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო

კომისარიატებს, ბორჯომის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო, საერთო, საინსტრუქტორო საინფორმაციო, საფინანსო და მომარაგების განყოფილებებს, აგრეთვე რედაქცია „მოამბეს“-ს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.
ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.
ადმ. გად. საქ. შესახებ კონსულტანტი
გრ. გველესიანი.

დადგენილება.

გორის მაზრის აღმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა გორის მაზრის აღმას. კომიტ. მიერ წარმოდგენილი ნუსხა მაზრის აღმ. ერთეულებათ (თემებათ) დაყოფისა და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ ნუსხაში გათვალისწინებულია მხოლოდ ის თემები, რომელნიც გორის მაზრის ფარგლებშია დატოვებული შეიძფე „სამხ.-ოსეთისთვის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ გამოცემული დეკრეტისა (№ 2); ბ) რომ ნუსხაში ჩამოთვლილ თემთა შორის მოხსენებულია აგრეთვე ბორჯომის თემი, მიუხედავად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტის მეორე სესიის მიერ წარსულ წელს მიღებული დადგენილებისა, რომლითაც ბორჯომის რაიონი ცალკე აღმინ. ერთეულათაა გამოცხადებული; გ) რომ სოფ. რეხა (თფ. მაზრა) ნუსხით შეტანილი არ არის გორის მაზრის ფარგლებში, წინააღმდეგ შინ. საქ. სახ. კომისარიატის მიერ წ/წ. 20 ნოემბერს მიღებულ დადგენილებისა, რომლითაც სოფ. რეხა გამორიცხულ იქმნა თბილისის მაზრიდან და მიწერილი გორის მაზრაზე და დ) სოფ. გუჯაბაური (ცხინვალის მაზრობლად მდებარე) ნაჩვენები არ არის გორის მაზრის ფარგლებში, რაიც არ ეთანხმება მე 2 ნომრით გამოცემული დეკრეტის ცეკსტს სამხ.-ოსეთის საზღვრების შესახებ, რომლის მუხ. მე-2, ლიტ. გ. ამბობს, რომ სამხრეთით საზღვარი ვაიფლის „დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურათ ჩრდილო-დასავლეთის მხრით,“—მიიღო რა მხედველობაში ყველა ეს მოსაზრება—დაადგინა: 1) გორის მაზრის აღმას. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ნუსხა მაზრის აღმ. ერთეულათ დაყოფისა დამტკიცდეს მასში შემდეგ შესწორებათა შეტანით: ა) ნაცვლათ „ბორჯომის თემისა“ ნუსხაში შეტანილი იქმნას „ბორჯომის რაიონი“ და მასასადამე, თემთა რიცხვი შემცირდეს ერთით ე. ი. მაზრა უნდა შეიცავდეს არა 17, არამედ 16 თემს და 1 რაიონს; გ) სოფ. რეხა მიეწეროს გორის მაზრის ატენის თემს და გ) სოფ. გუჯაბაური შეტანილი იქმნას გორის მაზრის ფარგლებში და 2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, გორის მაზრის აღმას. კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო, საერთო, საინსტრუქტორო-საინფორმაციო და მომარაგების განყოფილებებს, აგრეთვე რედაქცია „მოამბე“-ს.

მისარიატს, გორის მაზრის აღმას. კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინ. საქ. სახალხო კომისარიატის სამილიციო, საერთო საინსტრუქტორო-საინფორმაციო, საფინანსო და მომარაგების განყოფილებებს, აგრეთვე რედაქცია „მოამბე“-ს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.
ადმინ. გად. საქ. შესახებ კონსულტანტი
გრ. გველესიანი.

10 იანვარი, 1923 წ.

დადგენილება

ტფილისის მაზრის აღმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ა. წ. ნიანჯრის თარიღით წარმოდგენილი ნუსხა მაზრის აღმინისტრაციულ ერთეულებათ (თემებათ) დაყოფისა და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ ნუსხა შედგენილია თანახმად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1922 წლ. 1 იანვარს გამოცემული დადგენილებისა (№-132) და ბ) რომ წარმოდგენილ ნუსხით სოფ. რეხა (წალკა) კვლავ თბილისის მაზრის ფარგლებშია დატოვებული, წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წ. წ. 20 ნოემბერს მიღებული დადგენილებისა, რომლითაც ეს სოფელი გამორიცხულ იქმნა ტფილისის მაზრიდან და მიწერილი გორის მაზრაზე—დაადგინა:


1) ნუსხა თბილისის მაზრის 17 თემათ დაყოფისა, თანახმად წარმოდგენილი პროექტისა, დამტკიცდეს შემდეგი შესწორებით: სოფ. რეხა გამოირიცხოს ზემო წალკის თემში შემავალ სოფელთა სიიდან და 2) პირი ამ დადგენილებისა გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატს, ტფილისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს, ამავე მაზრის მილიციის უფროსს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო, საერთო, საინსტრუქტორო-საინფორმაციო და მომარაგების განყოფილებებს, აგრეთვე რედაქცია „მოამბე“-ს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი.

საქმეთა მმართველი დ. ჩიქოვანი.

ადმ. გად. საქ. შესახებ კონსულტანტი
გრ. გველესიანი.

10 იანვარი, 1923 წ.



დადგენილება

ზემო-სვანეთისა და ლეჩხუმის მაზრების ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განიხილა რა სიღნაღის, ლეჩხუმის და ზემო-სვანეთის მაზრების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ნუსხები დასახელებულ მაზრათა ადმინ. ერთეულებათ (თემებათ) დაყოფისა და მიიღო რა მხედველობაში, რომ აღნიშნული ნუსხები შედგენილია საქართველოს სოც. საბჭ. რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ 1922 წლის 1 იანვარს გამოცემული დადგენილების (№ 122) დაცვით, დაადგინა:

1) დამტკიცებულ იქმნას ყველა ზემო დასახელებული მაზრების თემებათ დანაწილების პროექტები, თანახმად წარმოდგენილი ნუსხებისა, სახელდობრ სიღნაღის მაზრა ოცდათერთმეტ თემათ, ლეჩხუმის ათ თემათ და ზემო-სვანეთის თხუთმეტ თემათ და 2) პირი ამ დადგენილების გაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატებს, დასახელებულ მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს, ამავე მაზრების მილიციის უფროსებს, გადასახადთა სამმართველოს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამილიციო, საერთო, საინსტრუქტორო-საინფორმაციო, საფინანსო დამმართველების განყოფილებებს, აგრეთვე რედაქცია „მოამბე“-ს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის **ა. გეგეჭკორი.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

ადმ. გად. საკითხთა შესახებ კონსულტანტი **გრ. გველესიანი.**

10 იანვარი, 1923 წ.

სირკულიარულად

სამაზრო და საქალაქო აღმასკომების თავმჯდომარეებს.

თანახმად ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის თებერვლის 1-ს დადგენილების შესაცვლელად გ. წ. ნ აპრილის თარიღით № 338 ჩვენი სირკულიარისა გაცნობებთ: რომ აღმასკომები თავისუფალნი არიან ფოსტა-ტელეგრაფის უწყების შენობათა ყოველგვარ ხარჯებიდან და ასეთების გაწევა ეკისრება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

შ. ს. ს. კომისარის მოადგ. **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

კომუნალურ განყოფილების გამგის მაგიერ **დეკანოზიშვილი.**

9 თებერვალი 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეებს.

ფოსტა-ტელეგრაფით სარგებლობისათვის სასუიდეის გადახდის შესახებ.

მიუხედავად ჩვენი სირკულიარული განკარგულებისა გ. წ. დეკემბრის 19-ის თარიღით 10/99 №-ით და ა. წ. იანვრის 10-ის თარიღით 4/5 №-ით კომისარიატს კიდევ მაინც მოსდის ცნობები, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები არ იხდიან სათანადო საფასურს ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონით და რადიო-ტელეგრაფით სარგებლობისათვის, იჭრებიან ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, ძალით ლაპარაკობენ ტელეფონით და ხელს უშლიან გამგეებს შეასრულონ მასზე დაკისრებული მოვალეობები პირნათლათ.

ამის გამო უკანასკნელად კატეგორიულ წინადადებას გაძლევთ სისწორით დაიცვათ ჩვენ მიერ გამოგზავნილი სირკულიარები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიცემულ იქნებით რევოლიუციონურ ტრიბუნალში, როგორც სამსახურის გამო დამნაშავენი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე.**

საქმეთა მმართველის მოად. **ცინცაძე.**

საერთო განყ. გამგე **ა. ჩიქოვანი.**

1 თებერვალი 1923 წ.

სირკულიარულად

ყველა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებს.

სამდგელჯო ზირთავან სმაქაქაძე მდგომარეობის წესების სვააღებულად დაცვის შესახებ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მმართველი ქვეგანყოფილებები მომართავენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოქალაქობრივ მდგომარეობათა განყოფილებას და აცნობებენ, რომ საქმედგელოება ასრულებს სარწმუნოებრივ წესებს და ამავე დროს არ სთხოვენ მ. მ. ა. ჩ. განყოფილების მოწმობას, რომ იგინი არიან გატარებული რეგისტრაციაში.

ამ გარემოების განსაპარტებლად გაცნობებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ამაჟამად მოქმედობს კანონი, რომლის ძალითაც ეკლესია, როგორც სარწმუნოებრივი საზოგადოება, სრულიად გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ამის მიხედვით სარწმუნოება არის პირადი საქმე ყოველი მოქალაქის. სარწმუნოების წესი უნდა სრულდებოდეს იმდენათ, რამდენათაც იგი არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და არ ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს. მეორე მხრით დეკრეტი № 28, მოქალაქობრივ მოგომარეობის აქტების შესახებ ნათლად ამბობს, რომ მოქალაქობრივ მდგომარეობის აღმასკომები უნდა იყვნენ სრულიად განუყოფელი საზოგადოებისაგან.

მარეობის რეგისტრაცია არის სახელმწიფოს საქმე და არავითარი კავშირი სამღვდლოების მოქმედებასთან არა აქვს. იმისათვის, რომ ესა თუ ის მოქალაქობრივი მდგომარეობა აღიარებული იქნეს იურიდიულად, რომ იგი გატარებული იყვეს რეგისტრაციაში ზემოდ ნაჩვენებ დეკრეტის წესების თანახმად. არავითარ სხვა ფორმის ასრულებას, და მაშასადამე სარწმუნებრივ წესის ასრულებასაც არ შეიძლება მოჰყვეს იურიდიული შედეგი და ესეთი აქტი იქნება მოკლებული ყოველგვარ უფლებებს. ამისათვის ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტების მოვალეობაა მიიღონ ყოველივე ზომები მანამდის სანამ მოქალაქეთ არ შეუგნიათ თავიანთი მოვალეობა, რომ ყოველივე მოქალაქობრივი აქტი წარმოადგენს სახელმწიფოსათვის დიდ მნიშვნელობას, როგორც სტატისტიკურ ისე სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით და მათი არ აღნიშვნა თავის დროზე გამოიწვევს დამნაშავეს სასტიკ პასუხისმგებაში მიცემას, რასაც სამღვდლოება უნდა ერიებოდეს, როგორც ისეთ მოქმედებას, რომელიც ბადებს სახელმწიფოში გაუგებრობას, რისთვისაც უნდა მიეცეს მათ კატეგორიული წინადადება არავითარ შემთხვევაში არ დასრულონ საეკლესიო წესები მანამდის, სანამ არ წარუდგენენ შს მ. მ. ა. ჩ. განყოფილების მოწმობას მდგომარეობის რეგისტრაციის შესახებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ა. გეგეჭკორი,
 საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**
 სამოქალაქო მდგომ. განყ. გამგე
ბ. კაკაბაძე.
 21 თებერვალი, 1923 წ.

სავალდებულო დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

საქონლის გადამალვისა და სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ვინაიდან ამ უკანასკნელ რდოს შემჩნეულია, რომ ბევრი სხვა-და-სხვა ჯურის, როგორც კერძო პირი, ისე ზოგიერთი საეკლესიო ხასიათის დაწესებულება, განზრახ, სპეკულიაციისა, საქონლის ფასის ხელოვნურად გადიდებისა და ქართული ბონების ღირებულების დაცემის მიზნით და საზოგადოებაში უსაფუძვლო პანიკის შესაქმნელად, მიმართავენ ხოლმე ისეთ ზომებს, რომლების დაშვება შეუძლებელია მუშურ გლეხურ ხელისუფლების დროს, ამიტომ ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, რომელსაც დავალებული აქვს ასეთ მოვლენებთან ბრძოლა ყველას საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ აცხადებს შემდეგ სავალდებულო დადგენილებას:

1. ის ვაჭრები, რომლებიც ურთერთ შორის შემთხვევებით, ან გაფიცვით, ან ბოროტის განზრახვით, საქონლის ბაზარზე გამოუტანლობით, ან

გადამალვით, ან სხვა გვარი ხერხით ხელოვნურად გაადიდებენ ფასებს საქონელზე, ან და შეეცდებიან ფასების გადიდებას, დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით და სასპეკულიაციო საქონლის კონფისკაციით.

შენიშვნა 1: ეს მუხლი ვრცელდება იმ მოქალაქეებზედაც, რომლებიც აწარმოებენ ვაჭრობას გარეშე განსაზღვრული სავაჭრო დაწესებულებისა.

შენიშვნა 2: იმ შემთხვევაში, როცა ამ მუხლში აღნიშნული ფასების გადიდება შეეხება პირველ საქიროების საგნებს დამნაშავე დაისჯება, გარდა თავისუფლების აღკვეთისა, მთელი ქონების კონფისკაციით.

2. ისეთივე სასჯელით დაისჯებიან ისინი, ვინც დაარღვევენ იმ წესებს, რომლებიც არსებობენ სავალიუტო საქონლის, ან და ვალიუტის შესახებ და გათვალისწინებულია სახალხო კომისართა საბჭოს მე-39 დადგენილებაში.

3. ქალაქ ტფილისის და მთელი რესპუბლიკის მილიციას ევალება დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანას და ყველა მილიციის უფროსს პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ეკისრება ხელმძღვანელობა და ღონისძიებათა მიღება ამ დარგში.

4. მილიციას ეკისრება ყველა, ამ დადგენილებით გათვალისწინებული შემთხვევაში, მოახდინოს სასწრაფო კვლევა-ძიება, რომლის ოქმი სამი დღის განმავლობაში, მილიციის უფროსის საშუალებით უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს.

5. ეს დადგენილება ძალაში შედის ამ 1922 წ. 21 დეკემბრიდან.

შინაგან საქმ. სახალხო კომის. გეგეჭკორი.
 საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი.**

ს. ს. ს. რ. უინანს. სახ. კომისარ.

ფ ე ს ე ბ ი

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 28 დეკემბრის № 16 დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულს 1922 წლის 28 დეკემბრის თარიღით და № 16 დეკრეტის მე-2-რე მუხლის ძალით.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებ. საქართ. დაამტკიცა შემდეგი წესები.

1 საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის 28 დეკემბრის თარიღით 16 № დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად არსდება სახალხო ბანკთან საიპოთეკო განყოფილება: თბი-

ლისში — თბილისის საადგილმამულო ბანკის და თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებებს მიერ გაცემულ სე ხთა ლიკვიდაციისათვის, და ქუთაისში — ქუთაისის საადგილმამულო ბანკის მიერ გაცემულ სესხთა ლიკვიდაციისათვის და 2) საეპოტეკო განყოფილებათა გამგეთა თანამდებობანი: თითო გამგე თვითეულ განყოფილებასთან.

2. სახალხო ბანკის საიპოტეკო განყოფილებათა და მათ გამგეთ შესანახ ხარჯებს ეწევა სახალხო ბანკი საქართველოს სახალხო კომისარათა საბჭოზე მიწერილ ანგარიშით. გამგეებს ნიშნავს და მათ ჯამაგარებს საზღვრავს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულნი საქართველოში. განყოფილებათა შტატებს და ხარჯთ-ღრისხვას ამტკიცებს სახალხო ბანკი — საქართველოში ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულთან შეთანხმებით.

3. წესრიგი განყოფილებათა ანგარიშისა, საქმის წარმოებისა და ანგარიშის გასწორების, ისაზღვრება ბანკის გამგეობის მიერ. განცხადებისა ანგარიშების და მოწმობათა ფორმებს იმუშავებს სახალხო ბანკის გამგეობა და ამტკიცებს ამიერ კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულნი საქართველოში.

4. მსესხებელს, რომელსაც სურს გამოისყიდოს თავისი მამული, შეაქვს, სახალხო ბანკის საიპოტეკო განყოფილებაში სათანადო განცხადება (ფორმა № 1).

5. განყოფილება აღგენს ანგარიშს დეკრეტის № 16 ს მე-2, მე 3, მე-4 და მე 5 მუხლების თანახმად და კონტროლიორის შემოწმების და განყოფილების გამგის დამტკიცების შემდეგ უღდენს მსესხებელს წერილობითი თანხმობის ჩამოსართ მევათ (ფორმა №)

6. მსესხებლები, რომელნიც 1923 წლის პირველ მარტამდე შემოიტანენ განცხადებას მამულის გამოსყიდვის შესახებ, არ იხდიან ჯარიმას იმ დრომდე, სანამ არ მიიღებენ ზემო აღნიშნულ წესის მე 5 მუხლში გათვალისწინებულ ანგარიშს.

7) იმ მამულებზე, რომელთა შესახებ თანახმად მე 4 მუხლისა არ იყო შემოტანილი განცხადება, სახალხო ბანკის საიპოტეკო განყოფილება ანგარიშს აღგენს შეძლებისდაგვარად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მამულების საჯარო გაყიდვის განცხადებამდე და მათზე გაწერილ შემოსატან ფულის გადახდა სწარმოებს საზოგადო წესით.

8) ვადიან და სხვა შემოსატან ფულის გადახდა შეიძლება სახალხო ბანკის ყველა განყოფილებებში ცალკე კვიტანციებით, რაიც უნდა ეცნობოს სათანადო განყოფილებას თბილისში ან ქუთაისში.

9. დამგირავებელი ვალდებულია სესხის გაქრობამდე დაზღვევოს თავისი მამული; დასაზღვევი ჯამი უნდა იყოს არა ნაკლები გამოსახსნელის ძირითად ვალის ნაშთისა და 10 პროც. ზედ დართვით.

10. ვალის გაქრობის შემდეგ მსესხებელს ეძლევა ამის მოწმობა (ფორმა № 3) ყველა საბუთები უბრუნდება და დაუყვანებლივ ეცნობება უფროს ნატარიუსს ადკრძალვის მოხსნის შესახებ.

შენიშვნა: მოწმობაში უნდა იყოს აღნი-

შნული, რომ ეს მამული თანახმად საქართველოს სახალხო კომისარათა საბჭოს დეკრეტისა 1922 წ. 28 დეკემბრის თარიღისა და 16 №-ით გამოყიდულია უწყებულ ვადებში და ჯამში.

11. თუ მსესხებელს სურს ვადამდე გადაიხადოს მთელი ვალი მას თანახმად № 16 დეკრეტის მე-6 მუხლისა ჩამოეწერება 20 პროც. გადასახად ვალის რაოდენობიდან.

შენიშვნა: ამ მუხლის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშის შედგენა, შემოწმება და დამტკიცება ხდება ამ წესთა მე 5 მუხლის თანახმად.

12. თუ მსესხებლის მიერ აღძრულია დასაბუთებული შუამდგომლობა მისგან გადასახად ვალის შეპირების შესახებ, მამულის იმ მდგომარეობის გამო, რომელსაც იგულისხმებს დეკრეტის № 16 მე 4 მუხლის ბოლო საიპოტეკო განყოფილების გამგე არკვევს მამულის მდგომარეობას მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთან ერთად, მცოდნე პირთა საშუალებით.

შენიშვნა: მამულის მდგომარეობის გამოსარკვევით გაწეულ ხარჯების დასაფარავათ მსესხებელი იხდის ძირითად ვალის ნაშთიდან ნახ. პროც. ქ. თბილისის და ქუთაისის სესხეაზე, დანარჩენ ქალაქების სესხებზე კი 1 პროც.

13. თანახმად ამ წესთა მე 12 მუხლისა მამულის მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ, განყოფილების გამგე თავის დასაბუთებულ დასკვნას უღდენს დასამტკიცებლად ამიერ კავკასიის ფინ. კომისარის რწმუნებულს საქართველოში, რომლის რეზოლიუციით წინათ შედგენილი ანგარიში იცვლება ახალით.

შენიშვნა: 1. შუამდგომლობა ვალის შეპირების შესახებ ამ წესთა მე 11 და 12 მუხლების თანახმად შეიძლება იყოს აღძრული ყოველთვის, სანამ მამულზე ირიცხება ვალი.

შენიშვნა: 2. შუამდგომლობის აღძვრა ვალის შეპირების შესახებ არ ანთავისულებს მსესხებელს იმ ჯარიმის (პანი) გადახდისაგან რომელიც ნახსენებია დეკრეტის № 16 მე-7 მუხლში.

აქ ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო.

ს.კ. შრტმის ს.ს. კომის.

დეკრეტები.

ფაბქარკომებისა და ადგილკომების შესახებ.

საერთო დებულება.

1. თითოეულ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო წარმოებაში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 20-ზე ნაკლები არაა, ეწყობა ფაბქარკომი ან ადგილკომი.



შენიშვნა: ის წარმოება, რომელშიც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი არის 20-მდე, ირჩევს დელეგატს, რომელიც აღჭირვილია ფაბ-ქარკომის ფუნქციებით.

2. წარმოებებში ფაბქარკომები ადგილობრივად ითვლებიან კავშირის ძირითად (ჩანასახ) ორგანიზაციად.

3. ფაბქარკომის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წარმოების ყველა მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ უფლება იყვნენ კავშირის წევრებათ, ფაბქარკომში-ც შეიძლება არჩეული იყვეს მხოლოდ კავშირის წევრები.

4. ერთ წარმოებაში შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ერთი ფაბქარკომი.

5. ფაბქარკომი წარმოადგენს რა უმაღლეს საკავშირო ორგანოების დირექტივებისა და დადგენილებათა ცხოვრებაში გამტარებელ ორგანოს, პასუხს აგებს და ანგარიშ-ვალდებულია წარმოებაში ყველა საკავშირო მუშაობისათვის კავშირისა და საზოგადო კრების წინაშე.

შენიშვნა: საზოგადო კრების დადგენილება სავალდებულოა ფაბქარკომებისათვის თუკი ის არ ეწინააღმდეგება კავშირების ორგანოების დადგენილებებს.

6. კავშირის გამგეობის ნებართვით შეიძლება გაერთიანებულ იქნეს რამოდენიმე ერთფეროვანი და ერთმანეთთან ახლო მდებარე წვრილი წარმოებების ფაბქარკომები პირდაპირის პროპორციის მიხედვით, თუკი ხსენებული წარმოებების მუშაკთა უმრავლესობა შედიან წევრებათ ერთსა და იმავე კავშირში, გაერთიანებული ფაბქარკომი იქნება ყველასათვის ერთი საერთო ფაბქარკომი (ადგილკომი).

ფაბქარკომის (ადგილკომის) ამოცანები.

7. ფაბქარკომის ძირითად და პირდაპირ მოვალეობას შეადგენს მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა, მათი ნივთიერი მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვა შრომის დაცვა, კულტურულ დონის და პროფტეხნიკურ განათლების ამაღლება და ამ მიზნით ფაბქარკომი:

- ა) თვალყურს ადევნებს თუ რამდენადაა სწორედ ასრულებს ადმინისტრაცია შრომის დაცვის ნორმებს და სოციალურ დაზღვევის კანონებს შრომის ხელფასის თავის დროზე მიცემას და დასაზღვევ გადასახადის შეტანის, აგზავნის თავის წარმომადგენლებს საკანტლიტო-შემფასებელ კომისიაში და ზრუნავს შრომის პირობებისა, საბინაო მდგომარეობის და სხვათა გაუმჯობესებაზე.
- ბ) აარსებს კლუბებს, აწყობებს ლექციებს, წარმოდგენებს ანაწილებს შეძენილ ლიტერატურას, ხელს უწყობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, აარსებს პროფტეხნიკურ განათლების სკოლებსა და კურსებს.

8. წარმოების მოწყობის დარგში ფაბქარკომი არ ერევა ადმინისტრაციის მოქმედებებსა და გან-

კარგულებებში და არავითარ შემთხვევაში არ აქტივებს და არ არღვევს მათ და მიზნათ მახაჯანს.

- ა) სახელ. ქარხნის მმართველობასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს წარმოების საწარმოო ცხოვრების ყველა უმათავრეს საკითხების გადაწყვეტაში;
- ბ) სახელმწიფო წარმოებაში წარმოების ნორმალოზ მსვლელობის მოწყობას;

გ) სახელმწიფო ქარხნის მმართველობის მოხსენების მოწყობას საზოგადო, სადელეგატო და საამქრო კრებებზე— წარმოების მდგომარეობისა და მუშაობის მსვლელობის გაცნობის მიზნით;

დ) მონაწილეობა მიიღოს მუშების მიღება-დათხოვნაში, დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულების ან სატარიფო ხელშეკრულების მიხედვით.

9. საორგანიზაციო დარგში ფაბქარკომის მოვალეობას შეადგენს:

- ა) წარმოების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირში ჩამბა;
- ბ) მუშა-მოსამსახურეებში რევოლიუციონურ-კლასისიურ შეგნების გაღვივება;
- გ) მუშა მოსამსახურეებში პროფესიონალურ-პროლეტარულ დისციპლინის გატარება.

დ) საწევრო გადასახადების შეგროვის ორგანიზაცია ფაბქარკომის და ადგილკომში გადასახადების პერსონალური გადარიცხვის წესით და ამასთანავე საწევრო გადასახადების შეგროვების და კავშირში წესიერ წარდგენის თვალყურის დევნება, თანახმად კავშირის მიერ დაწესებულ წესისა;

ე) დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშების და მოსამსახურეების წარმომადგენლად გამოსვლა და ამასთანავე დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში მუშების წარმომადგენლის არჩევის მოწყობა.

10. შენიშნულ უკანონო მოქმედებასა, კანონზე გვერდის ახვევას და აგრეთვე ჩამოვარდნილ გაუგებრობაზე, ფაბქარკომი დაუყოვნებლივ ატყობინებს კავშირის გამგეობას.

ფაბქარკომის კონსტრუქცია.

11. ფაბქარკომს ირჩევენ უწყებულ წარმოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო ან სადელეგატო კრებაზე 6 თვის ვადით, თანახმად შემდეგი ნომრისა:

თუკი წარმოებაში არის მუშათა რიცხვი 20-დან-300-მდე, ფაბქარკომში არჩეულ უნდა იქნეს 3 კაცი, 300-ზე ზევით— ფაბქარკომში არჩეულ უნდა იქნეს 5 კაცი.

შენიშვნა: ფაბქარკომის წევრთა მთელის შემადგენლობით ან რომელიმე წევრის ვადაში ხელ-მეორედ არჩევის საკითხი შეიძლება დასმული იქმნას საზოგადო კრებაზე წარმოების მუშების 1—3 მოთხოვნით, ან და კავშირის გამგეობის დადგენილებით.

12. ამრჩეველთა კრება იქნება უფლები მოსილათ თუ კრებაზე გამოცხადებულია უწყებულ წარმოების მუშა-მოსამსახურეთა არა ნაკლები ხახვეარი რიცხვი 2 და თუ უწყება კრების მოწვევისა, მისი დღიური წესრიგის და მისი ადგილის შესახებ 3

დლით აღრე ეცნობა კავშირის გამგეობას და მუშა-
მოსამსახურებს.

შენიშვნა: თუ ქვორუმი არ შესდგა, კრე-
ბა ინიშნება მეორეჯერ და ითვლება კანონიე-
რად რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

13. საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტის შე-
მადგენლობას ამტკიცებს კავშირის გამგეობა.

14. საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტის წე-
ვრთა რაოდენობა, რომელნიც განთავისუფლებულ
უნდა იქნენ თავის პროფესიონალურ-სპეციალურ
მუშაობიდან, რათა აწარმოონ მუშაობა ფაბქარკო-
მში, წესდება შემდეგი ნომრით: წარმოებაში, სადაც
წევრთა რიცხვი არის—20-დან-50-მდე თავისუფლ-
დება 1 კაცი, მაგრამ კვირაში არა უმეტეს 2 დღისა.

50-დან-300-მდე, თავისუფლდება არა უმეტეს
1 კაცისა მთელი ხნის განმავლობაში. 300-ზე ზე-
ვით თავისუფლდება არა უმეტეს 2 კაცი.

შევიშვნა: საკონფლიქტო შემთხვევებელ
კომისიაში სამუშაო ფაბქარკომის წევრთა თა-
ვისუფლება—ხდება ზემოხსენებულ ნორმის
გარეშე, რაც გათვალისწინებულ იქნება კოლე-
ქტიურ ხელშეკრულებაში.

15. მუშაობიდან განთავისუფლებულნი ფაბქა-
რკომის წევრნი—ხელფასს იღებენ წარმოებიდან
თავისი კვალიფიკაციის საშუალო ხელფასის რაო-
დენობის მიხედვით მაგრამ არა უმცირეს თავის ტა-
რიფისა.

ფაბქარკომის მუშაობა.

16. იმ ამოცანების შესასრულებლად, რომე-
ლიც მათ წინ დგას, ფაბქარკომებს მსხვილ წამოე-
ბაში შეუძლიათ მოაწყონ შრომის დაცვის კულ-
ტურულ განმანათლებელი კომისია, რომლის მუშაო-
ბასაც ხელმძღვანელობას უწევს და რომლის შესა-
ხებაც პასუხს აგებს კავშირის და საზოგადო კრე-
ბის წინაშე.

შენიშვნა: კომისიის მუშაობა წარმოებს
სამუშაო დროის გარეშე.

17. ფაბქარკომის და კომისიებს შეუძლიან
მოიწვიონ თავიანთ სხდომებზე გამოცდილი პირები
სათათბირო ხმის უფლებით.

18. ფაბქარკომები საკავშირო ორგანოების
მოთხოვნით გზავნიან ყველა საკავშირო, სამეურნეო
და საბჭოთა ორგანოებში კავშირის ერთ-ერთ წევრს,
რომელიც მუშაობს უწყებულ წარმოებაში.

19. ფაბქარკომი სამუშაო დროს გარეშე, არა
ნაკლებ ერთისა თვეში—იწვევს საერთო კრებას
უწყებულ წარმოების მუშა-მოსამსახურეებისა, სადე-
ლეგატო კრებებს იწვევენ არა ნაკლებ ერთისა ორ
კვირაში.

შენიშვნა: დებუტატების ასარჩევად მუ-
შათა საბჭოსა და სოციალურ დაზღვევის ორ-
განოებში საერთო კრება შეიძლება მოწვეული
იქნეს სამუშაო დროშიაც.

20. ფაბქარკომების სხდომები იმართება სამუ-
შაო დროს გარეშე და არა ნაკლებ კვირაში ერთისა.

21. ფაბქარკომის დადგენილებათა შეცვლა შეუ-
ძლია კავშირის გამგეობას ან და საზოგადო კრებას.

22. წარმოების საზოგადო კრება უწყობს ფაბქარკომის
შირის გამგეობის ცნობით.

ფაბქარკომის სახსარი.

23. ფაბკომები და ქარკომები ხარჯავენ აუ-
ცილებელ ჯამს ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით, რო-
მელიც დამტკიცებული არის სათანადო საკავშირო
ორგანოების მიერ და რომლის რაოდენობა არ
აღემატება 2 პროცენტს გაცემულ სამუშაო ქირის
მიხედვით, რომელსაც იხდის ის წარმოება, სადაც
მუშაობენ.

ფაბკომებსა და ქარკომებში მუშაობისათვის
განთავისუფლებულ წევრთა შენახვა ხარჯთ-აღრიც-
ხვის ვარაუდში არ შედის და მათ ეძლევათ სამუ-
შაო ქირა საერთო უწყების სიით.

24. ფაბქარკომების და ადგილკომების შესა-
ნახი თანხა შეტანილი უნდა იქნეს წარმოების (და-
წესებულების) მიერ ფაბკომში (ადგილკომში) ან და
მის მოადგილე დელეგატს უნდა მიეცეს, რომელიც
იხარჯება სათანადო კავშირის კონტროლის ქვეშ.

25. წარმოების (დაწესებულების) მმართველო-
ბა აძლევს ფაბქარკომებს (ადგილკომებს) მოწყობილ
ბინას გათბობით და განათებით.

ფაბქარკომის საქმეების რევიზია.

26. ფაბქარკომის მოლვაწეობის რევიზიისათვის
საზოგადო კრებაზე ირჩევენ სარევიზიო კომისიას
3 პირის შემადგენლობით რ თვის ვადით, სარევი-
ზიო კომისია არა ნაკლებ ერთჯერ თვეში სინჯვას
ფაბქარკომის მოლვაწეობას და თავის მოხსენებებს
უდგენს საზოგადო კრებას და კავშირის გამგეობას.

27. ფაბკომების და ადგილკომების შესახებ
აქამდე გამოცემული ყველა დებულებები ჩაითვა-
ლოს გაუქმებულად.

ა. კ. შრომის სახალხო კომის. რწმუნ.
საქართველოში ა. იაშვილი.

საქართ. პროფ. კავშ. საბჭოს
მდივანი გ. ყურულიშვილი.

20 დეკემბერი 1922 წ.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლო იწვევს ზა-
ქარია იგივე შაქრო გიორგის ძე იმერლიშვილს, ვი-
თარცა მოპასუხეს, ალათი ლეონტი მოისრაფეიშვი-
ლის ასული იმერლიშვილის თხოვნით მასთან გან-
ქორწინების საქმეზე თუ აღნიშნული მოპასუხე არ
გამოცხადდა სასამართლოში ორი კვირის განმავ-
ლობაში, დლიდან ამ განცხადების გამოკვეყნებისა,
სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნება დაუსწრე-
ბელი განჩინება, რომელიც იქნება საბოლოო და
რომლის გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ საკასაციო
წესით საერთო საფუძველზე.

ქ. ფოთის სახალხო მოსამართლე

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმასრ. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ ალექსანდრე სტეპანეს ძე იბაშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის იბაშვილის — გაბაშვილზე შეცვლის შესახებ.

დიდობე-ნაძალ. მმაჩის გამგე საქმის მწარმოებელი

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართვე. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1923 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმასრ. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს; რომ ალექსანდრე ხანტიანის ძე სერაჰმანიაკოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის სერაჰმანიაკოვის სერაჰვი შეცვლის შესახებ.

დიდუბე-ნაძალადევის მმაჩის გამგე საქმის მწარმოებელი

თანახმად § 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართვე. რევოლ-კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმასრ. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს, რომ მოქ. სუჯეიმან დავითის ძე იუზბაშვილმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის სუჯეიმან იუზბაშვილის ასკანაზ დავითის ძე შახბაგვაშვილ შეცვლის შესახებ.

საქმის მწარმოებელი ფანიაშვილი.

ბახვის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს დაეკარგა ბახვის თემის აღმასკომის ბეჭედი.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომი ავალებს მნახველს დაბრუნოს აღნიშნული ბეჭედი, რომელიც ითვლება გაუქმებულად,

ოზურგეთის სამაზრო აღმასკ. თავმჯდ.

(6—1)

ტფილისის სამოსამართლო ოლქის ახალციხის პირველი უბნის სახალხო მოსამართლე, იწვევს 192 წ. 21 ივნისში გარდაცვლილ ახალციხის მოქალაქე სათენაკ იგივე ელისაშვიტა ხაჩატურ ტერ-მარტუმიანცის ასულ არამიანცის მემკვიდრეებს რათა მათ კანონით დაწესებულ დროის განმავლობაში განაცხადონ თავიანთი უფლება დატოვებულ მემკვიდრეობაზე.

სახალხო მოსამართლე დვინიაშვილი. (6.—1).

ქ. ფოთის სახალხო სასამართლო იწვევს გარდაცვალეული გაიკანუშ იაკობ რაფაელაიანცის ასული ბარამიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ მათი უფლებები მისი დანაშთი ქონებაზე, ორი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა.

ქ. ფოთის სახალხო მოსამართლე

დაიპარგა მეტრიკული მოწმ № 1794 მიღებული 1967 წ. სუფ-კარაპეტის უკლესიდან კანცელარიიდან, თამას დავითის ძე ხაჩატურაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 81 მიღებული 1919 წ. სინოდალური კანტორიდან ვარლამ იოსების ძე გრიგალიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა საწევრო წიგნაკი № 753 მიღებული მეგზოვრეთა კავშირიდან 1922 წ. ქაჯანთარ თამასის ძე ნამოკვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 2432 მიღებული 1919 წ. სინოდალური კანტ. აქრამიკ ნიკოლოზის ძე კლიმიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 684 მიღებული სინოდალური კანტორიდან 1914 წ. გერგანდი თამას ძე ცინისელის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 3676 მიღებული სომხეთა კონსისტორიიდან 1916 წ. ივანე ნიკოლოზის ძე თინათინის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი მიღებული სომხეთა კონსისტორიიდან 1916 წ. რეზანა მნაცკანის ასულ გეგელიანცის სახელზე. ჩაითვ. გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 1314 მიღებული სინოდალური კანტორიდან 1913 წ. დიმიტრი ასლანის ძე ხუციშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა პირადობის მოწმობა მიღებული სოფ. ტოლის აღმასკომიდან 1922 წლ. მაისში დიმიტრი ასლანის ძე ხუციშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა მეტრიკული ამონაწერი № 210 მიღებული 1919 წ. ნიკოლოზ ივანეს ძე გაბაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიპარგა პირადობის მოწმობები, მიღებული ბული აბედათის თემის აღმასკომისაგან 5 ოქტომბრიდან 1922 წ. №№ 1722 და 1723 მისილ და ილია ბარათაქების სახელზე და სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების ნუსხა № 11298 მისილ ბარათაქის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ბანძის რაიონის მილიც. უფრ. კიკელიშვილი. საქმის მწარმოებელი გვილაჯა. (6.—1).

შინაგან

მე-49-ე №-ში მოთავსებული მასალებისა:

ექსტრ. აღმსრ. კომიტეტი.

1) დადგენილება № 29—საკურორტო ადგილებში გამოსადეგი სადგომებისა და შენობათა საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

2) დეკრეტი საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების შესახებ.

სახ. კომისარიატის საბჭო.

3) დადგენილება № 71—ა/კ. საქ. საბჭოს და დგენილების № 70 ცნობად გამოცხადების შესახებ.

4) დადგენილება № 74—ტყის სარგებლობისა და ტყეების გაჩეხის შესახებ.

5) დადგენილება № 75—უცხოელთა თაობაზე ს. ს. ს. რ. კ. მიერ გამოცემული № 64 დეკრეტის მე-16 მუხ. შეცვლის შესახებ.

6) დადგ. № 76 ჯიშაიანი ცხენის დაცვის შესახებ.

7) დადგ. № 77 სახ. კომ. საბჭოს დადგ. № 57 შეცვლის შესახებ.

8) დადგ. № 78 ს. რევ. კომ მიერ 1921 წლ. გამოცემული ბრძანების № 53 გაუქმების შესახებ.

9) დადგ. № 79 საქ. წით. ჯერის საშუალებათი გასაძლიერებლად სპეციალური გადასახადის დაწესების შესახებ.

10) დადგ. № 80 საქართ. რევ. კომიტეტის მიერ 1922 წ. იანვრის 31-ს გამოცემული დადგენილების № 134 მე-8 მუხლის გაუქმების შესახებ.

ა/კ. საკავშირო საბჭო.

11) დეკრეტი—შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში პირველი სამი დღის განმავლობაში უზრუნველყოფის შესახებ.

12) დადგენილება № 70 ს. რ. ც. ა. კ. შრომის კანონის კოდექსის ა/კ. გავრცელების შესახებ.

შინაგან საქმეთა სახელბო კომისარიატი.

13) დადგენილებანი (7 დადგ.) მაზრების აღმინისტრატულად დაყოფის შესახებ.

14) ცირკულიარები შ. ს. ს. კ.

15) საგალდებულო დადგენილება.

ა/კ. ფინანსთა სახელბო კომისარიატი.

16) წესები—ს. ს. ს. რ. ს. კ. № 16 დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად.

ა/კ. შრომის - სახელბო კომისარიატი.

17) დებულება ფაბქარკომებისა და ადგილკომების შესახებ.

